ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 43-52

"25" ივნისი 2019 წ.

ქ. თბილისი

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-33 დადგენილებაში (ვებ-გვერდი: www.matsne.gov.ge, 09/12/2014, სარეგისტრაციო კოდი: 210020030.35.101.016042) და დადგენილების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პირველი და მე-2 პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება გარე ვაჭრობას დაქვემდებარებულ ლატარიის ბილეთების სარეალიზაციო მობილურ დანადგარებსა და კონკრეტული ღონისძიებებისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განსაზღვრულ ადგილებზე განთავსებულ დროებით შენობა-ნაგებობებზე. მათი განთავსება ნებადართულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე. "

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-33 დადგენილებით განსაზღვრულია ის ტერიტორია სადაც არ შეიძლება დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსება, დადგენილების მე-3 პუნქტით განსაზღვრულია ის გამონაკლისი ობიექტები, რომელთა განთავსება შესაძლებელია განხორციელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე. ასეთ ობიექტებს განეკუთვნება გარე ვაჭრობას დაქვემდებარებული ლატარიის ბილეთების სარეალიზაციო მობილური დანადგარები.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-89 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის კონკრეტული ადგილები ამ ადგილებით სარგებლობის ფორმები, სადღესასწაულო და წინასადღესასწაულო დღეებში, ასევე სხვა ფართომასშტაბიანი ღონისძიებებისა და აქციების მოწყობისას გარე ვაჭრობა და ამისათვის განსახორციელებელი საჭირო ღონისძიებები რეგულირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით. გარდა ამისა, დადგენილებით განსაზღვრულია ასევე, რომ გარე ვაჭრობისთვის დასაშვები საქონლის ნომენკლატურა განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

საზოგადოებრივი საჭიროებებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით არ არის დადგენილი გარე ვაჭრობისათვის დასაშვები საქონლის ნომენკლატურა, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის

2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-33 დადგენილების მე-3 პუნქტში ხორციელდება ცვლილება და გარდა ლატარიის ბილეთების სარეალიზაციო მობილური დანადგარებისა გამონაკლისად განისაზღვრება კონკრეტული ღონისძიებებისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განსაზღვრულ ადგილებზე განთავსებული დროებითი შენობა-ნაგებობანი. აღნიშნული ცვლილების შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილი იქნება საზოგადოებრივი საჭიროებების გათვალისწინებით დამოუკიდებლად განახორციელოს გარე ვაჭრობის ღონისძიებების ორგანიზება და თავადვე განსაზღვროს ამ ღონისძიებების განხორციელებისათვის შესაბამისი ადგილი და დრო.

ამავე ცვლილების თანახმად, დადგენილების პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები, გარე ვაჭრობას დაქვემდებარებულ ლატარიის ბილეთების სარეალიზაციო მობილურ დანადგარებსა და კონკრეტული ღონისძიებებისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განსაზღვრულ ადგილებზე განთავსებულ დროებით შენობა-ნაგებობებთან ერთად, ასევე არ ვრცელდება შპს „საქართველოს ფოსტის“ (ს/ნ 203836233) ჯიხურებზე.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.